



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

20 აპრილი 2026



N 247/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მდ.ფარავანზე 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო (მიწისქვეშა საკაბელო მონაკვეთებით) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ (ს/კ 206237491) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 1 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნა განცხადება (წერილი N9623), დაგეგმილი საქმიანობის (ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდინარე ფარავანზე, 4,6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“, 35 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის საჰაერო (მიწისქვეშა საკაბელო მონაკვეთებით) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება N626/ს 13.10.2025), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმომადგენლებში ჩართვა, დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით გზშ-ის ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე განთავსება და კანონმდებლობის შესაბამისად შენიშვნების წარმოდგენის ვადის განსაზღვრა.

გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

ინფორმაცია დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით:

2025 წლის 15 აპრილს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სააგენტოში წარმოდგენილი იქნა ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანზე 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N40; ბრძანება N313/ს 16.06.2025).

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N 21/12908), სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია (წერილი N3497). კერძოდ, წარმოდგენილი იქნა დაზუსტებული ინფორმაცია ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსებისთვის გამოყოფილი ტერიტორიის ფართობის შესახებ. წარმოდგენილი იქნა განახლებული გეოლოგიური რუკა, ინფორმაცია საშიში გეოლოგიური პროცესების შესახებ. ასევე, ინფორმაცია სადაწნეო-სადერივაციო სისტემის, თევზსავალის ენერჯის გაფანტვის კოეფიციენტის, დეპრესიის მრუდის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და სხვა. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის (ბრძანება N 156/ს 13.03.2026)

მიერ. დაზუსტებული დოკუმენტაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და კანონმდებლობის შესაბამისად, დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადა.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში, მდ. ფარავნის ხეობის დაახლოებით 2.8 კმ სიგრძის მონაკვეთზე ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე, დერივაციული ტიპის 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურისა და 35 კვ ძაბვის საჰაერო (საკაბელო მონაკვეთებით) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციას. ჰესის ინფრასტრუქტურა მოეწყობა მდ. ფარავნის ხეობაში, ზღვის დონიდან 1765 (ნორმალური შეტბორვის ჰორიზონტი სათავე ნაგებობის ზედა ბიეფში) და 1716 მ ნიშნულებს შორის. ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების კვეთში მდ. ფარავანი მიედინება დაახლოებით 40-50 მ სიგანის კალაპოტში, ხოლო ხეობის სიგანე დაახლოებით 180-200 მეტრის ფარგლებში მერყეობს. სათავე ნაგებობის განთავსების წერტილის მიახლოებითი გეოგრაფიული GPS კოორდინატებია: X-375587; Y-4576776. ხოლო ძალური კვანძის მიახლოებითი GPS კოორდინატებია: X-374437; Y-4577948. სათავე ნაგებობისა და ძალური კვანძის განთავსების ტერიტორიები წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიას. ანგარიშის თანახმად, საპროექტო სათავე ნაგებობიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაცილებულია მინიმუმ 700 მ მანძილით (სოფ. პატარა ხორენია), ხოლო შეტბორვიდან - დაახლოებით 35 მ მანძილით. ძირითადი სამშენებლო ბანაკიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 1185 მეტრში. სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 800 მ-ის დაცილებით, ხოლო ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკიდან - დაახლოებით 1990 მ-ის დაცილებით. სანაყაროს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 440 მეტრში. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, „ფარავანი 2“ ჰესის ნაგებობების მოწყობა მოსახლეობის ფიზიკური და ეკონომიკური განსახლების რისკებთან დაკავშირებული არ არის.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, განხილულია ჰესის ტიპის (რეგულირებადი ჰესის, კალაპოტური ტიპის ჰესი და ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესი) ალტერნატივები, ჰესის ნაგებობების განლაგების ადგილების, ეგხ-ის ტიპის, სანაყაროს განთავსების, მათ შორის, თევზსავალის ტიპის ალტერნატიული ვარიანტები და დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესის ტიპის ალტერნატიული ვარიანტების შერჩევასა და გათვალისწინებული იქნა გარემოსდაცვითი საკითხები, რომლის საფუძველზეც უპირატესობა მიენიჭა ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. სადერივაციო სისტემის (გვირაბები, ღია ან დახურული არხები და მილსადენები) ტიპის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად, უპირატესობა მიენიჭა ბეტონის უდაწნეო დახურულ არხს და სადაწნეო მილსადენის გამოყენებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰესის განლაგების ალტერნატივების ანალიზისა და ურთიერთშედარების შედეგად (პირველი ალტერნატიული ვარიანტი - სადერივაციო-სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. ფარავნის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე; მეორე ალტერნატიული ვარიანტი - სადერივაციო-სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის განთავსება მდ. ფარავნის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე) გათვალისწინებული იქნა გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალური საკითხები, რომლის მიხედვითაც უპირატესობა მიენიჭა მეორე ალტერნატიულ ვარიანტს. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილი იქნა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ეგხ-ს ტიპის ალტერნატიული ვარიანტებიდან, გარემოზე ზემოქმედების ნაკლები რისკებიდან გამომდინარე, საპროექტო ტრასის სხვადასხვა მონაკვეთზე შერჩეული იქნა როგორც საჰაერო, ასევე მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია ინფორმაცია სანაყაროს განთავსების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. ტერიტორიის რელიეფის პირობების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა მეორე ალტერნატიულ ვარიანტს, ვინაიდან მეორე ალტერნატიული ვარიანტის მიხედვით, ტერიტორია წარმოადგენს საკმარისად სწორი რელიეფის მქონე ტერიტორიას, სადაც ფუჭი ქანების დასაწყობება რელიეფურ სირთულეებთან დაკავშირებული არ იქნება. გზმ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია თევზსავალის ტიპის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. ჰიდროტექნიკური მშენებლობის პრაქტიკიდან და შესაბამისი ტექნიკური

ლიტერატურიდან ცნობილი თევზსავალის სხვადასხვა ტიპებიდან განიხილებოდა საფეხურებიანი თევზსავალის და ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალი არხის მოწყობის ალტერნატიული ვარიანტები. არსებული მდინარის ბუნებრივი პირობების და ასევე გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, უპირატესობა მიენიჭა ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალი არხის მოწყობის ალტერნატივას.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე იქნება - 4,6 მგვტ, ენერჯის საშუალო წლიური გამომუშავება 25 625 366.97 კვტ.სთ, ჰესის საპროექტო ხარჯი 12 მ³/წმ, ხოლო მდინარის ეკოლოგიური ხარჯი - 1.5 მ³/წმ. ჰესის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ინფრასტრუქტურის მოწყობა: სათავე ნაგებობა, სადერივაციო სისტემა და ძალური კვანძი. ძალური კვანძის შემადგენლობაში იქნება: სააგრეგატო შენობა, გამყვანი არხი და ქვესადგური.

ანგარიშის მიხედვით, სათავე ნაგებობის შემადგენლობაში შედის: 4.8 მ სიმაღლის ფარებიანი, წყალსაშვიანი, ბეტონის კაშხალი გვერდითი ტიპის წყალმიმღებით, ჩამქრობი ჭა, ორკამერიანი სალექარი - წყალსაგდებით და გამრეცხი მილით, თევზსავალი და თევზამრიდი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, წყალმიმღები ნაგებობა მოეწყობა მდინარის (შეტბორვის) მარცხენა სანაპიროზე. წყალმიმღები წარმოადგენს 13 მ სიგრძის ნაგებობას, რომელიც შედგება ოთხი ღიობისგან (სიგანე 2.60 მ, სიმაღლე 1.5 მ). წყალმიმღების ღიობები აღჭურვილი იქნება საკეტებით, რომლებიც დაცული იქნება დიდი ზომის მასალის მოხვედრისგან ფოლადის გისოსების საშუალებით. წყალმიმღების მიერ მოხდება 12 მ³/წმ წყლის ხარჯის აღება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ფარავანი 2 ჰესის“ კაშხალი შედგება 6.0 მ სიგანის სამი ღიობისგან, რომლებიც ერთმანეთისაგან 1.5 მ სიგანის ბურჯებით იქნება გამოყოფილი და რომლებიც დარეგულირდება საკეტის საშუალებით. მაქსიმალური და კატასტროფული წყალდიდობის პერიოდში საკეტები უზრუნველყოფენ ზედა ბიეფში მოდინებული ხარჯების უსაფრთხო გატარებას. კაშხლის ფარებიანი ნაწილის საერთო სიგრძე იქნება 23.85 მ, რომელიც უზრუნველყოფს მდინარის 2.15 მეტრით შეტბორვას, ანგარიშის თანახმად, კაშხლის თხემზე ასევე გათვალისწინებულია საფეხმავლო ხიდის მოწყობა, რომლის სიგანე იქნება - 2.5 მეტრი. ასევე, კაშხლის ქვედა ბიეფში წყლის ნაკადის ენერჯის ჩასახშობად და ქვედა ბიეფის გამორეცხვისაგან დაცვის მიზნით, გათვალისწინებულია ჩამქრობი წყალსაცემი ჭის მოწყობა, რომლის სიგრძეც იქნება 13 მ, ხოლო სიღრმე 2.15 მ. სათავე კვანძთან ჰესის მიერ შეგუბებული წყლის სარკის ზედაპირის ფართობი ნორმალური შეტბორვის პირობებში იქნება 70 101 მ², ხოლო მაქსიმალური შეტბორვის პირობებში სარკის ზედაპირის ფართობი 112 591 მ².

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სათავე ნაგებობაზე გათვალისწინებულია ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალი ნაგებობის მოწყობა, რომელიც განთავსებული იქნება მდინარის მარცხენა სანაპიროზე, კაშხალსა და წყალმიმღებს შორის. თევზსავალის ზედა და ქვედა ბიეფების განივ კვეთებს შორის სიმაღლებრივი სხვაობა შეადგენს 2.02 მ-ს. შესაბამისად, მინიმალურ სიგრძედ განისაზღვრება 45 მ. თევზსავალში წყლის მინიმალურ სიმაღლედ განსაზღვრულია - 40 სმ. თევზსავალში გასატარებელი საანგარიშო ხარჯი იქნება 0.85 მ³/წმ (ეკოლოგიური ხარჯის ნაწილი). ეკოლოგიური ხარჯის ნაწილი ქვედა ბიეფში გატარდება კაშხლის ფარების საშუალებით. ამასთან, წყალმიმღებზე დაგეგმილია ელექტროიმპულსური ტიპის თევზამრიდი მოწყობილობის დამონტაჟება, რომლის ეფექტურობა ლიფსიტებისთვის (ზომით 4 მმ და მეტი) შეადგენს 85%-ს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ორკამერიანი სალექარის მოწყობა დაგეგმილია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. სალექარი გათვლილია 0,3 მმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნაწილაკების დალექვისთვის. სალექარი აღჭურვილი იქნება 6 მ სიგანისა და 46 მ სიგრძის ორი იდენტური ავზით. ავზის ფსკერი იქნება განივი ქანობის ფორმის, რომელიც ნატანს მიმართავს ცენტრალური არხისკენ, ასევე სალექარს ექნება გრძივი ქანობი, ავზის ბოლოს ქვიშის დაგროვებისთვის. წყლის ზედაპირის სიმაღლე ავზის ბოლოს იქნება 2.25 მ, სალექარის არხის ბოლო მონაკვეთი აღიჭურვება ნაგავდამჭერთ/ქვიშადამჭერთ, რომლის გისოსების სიგანე იქნება 0.01 მ, ხოლო გისოსებს შორის ინტერვალი - 0.02 მ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სათავე კვანძის წყალმიმღების და სალექარის გავლის შემდეგ წყალი გადავა სადერივაციო-სადაწნეო მილსადენში, რომელიც მიუყვება მდ. ფარავანის მარცხენა სანაპიროს. სადაწნეო აუზამდე წყლის მიწოდება განხორციელდება 1973 მეტრი დახურული მართკუთხა უდაწნეო რკინაბეტონის არხის 760 მ სიგრძისა და 2,5 მ დიამეტრის სადაწნეო მილსადენის საშუალებით.

სადაწნეო აუზი (პარამეტრებით 20X10X10მ) აღჭურვილი იქნება წყალსაგდებით, რომლის საშუალებით ჭარბი ხარჯის ჩაშვება მოხდება მდინარეში, დაახლოებით 65 მ სიგრძის და 7 მ სიგანის ღია არხის საშუალებით. სადაწნეო აუზიდან იწყება ლითონის სადაწნეო მილსადენი, რომელიც ჰესის შენობის სიახლოვეს განშტოვდება ორ სატურბინე მილსადენად, საიდანაც წყალი მიეწოდება ჰესის შენობაში განთავსებულ აგრეგატებს.

ანგარიშის თანახმად, ჰესის შენობის მოწყობა დაგეგმილია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ტერიტორიის მიახლოებითი გეოგრაფიული კოორდინატებია: $X=374437$; $Y=4577948$. ჰესის შენობა წარმოადგენს მიწისზედა ნაგებობას, რომლის სიმაღლე იქნება 13,5 მ, სიგრძე - 31 მ, სიგანე - 13 მ. ჰესის შენობაში განთავსებული იქნება სამანქანე დარბაზი, ოპერატორის ოთახი, სანიტარული კვანძი, საპოხი მასალებისა და სარემონტო ინსტრუმენტების საწყობი, გამანაწილებელი მოწყობილობისა და მართვის ოთახები. ჰესის შენობაში გათვალისწინებულია ფრენისის ტიპის ჰორიზონტალურ ღერძიანი ორი ერთეული ტურბინის დამონტაჟება, რომელთა დადგმული სიმძლავრე იქნება 4,6 მგვტ (საპროექტო წყლის ხარჯი 12 მ³/წმ). ჰესის მიერ გამომუშავებული წყლის მდ. ფარავანში ჩაშვება გათვალისწინებულია რკინაბეტონის 2 ცალი გამყვანი არხის საშუალებით, რომლის სიგრძეც იქნება დაახლოებით 20.85 მ, ხოლო სიგანე - 6.0 მ. ჩადინების წერტილში ზღურბლის ქვემოთ, მდინარის ნაპირი გამაგრებული იქნება ლოდებით. ჰესის მიერ გამომუშავებული წყლის მდ. ფარავანში ჩაშვების კოორდინატებია $X-374474$; $Y-4577970$.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გათვალისწინებულია 35/3300 კვ ქვესადგურის მოწყობა, სიმძლავრით 2400 კვა., რომელიც წარმოადგენს ჰესის შენობის ნაწილს და განთავსებული იქნება შენობის აღმოსავლეთ ნაწილში, ცალკე გამოყოფილ დახურულ შენობაში. ქვესადგურის პარამეტრები იქნება: 8.1 x 4.1 მ, ხოლო ფართობი - 33.21 მ². ქვესადგურის ტერიტორიაზე განთავსებული იქნება ორი 1200 კვა სიმძლავრის ძალოვანი ტრანსფორმატორი, რომელიც მოეწყობა ბეტონის საძირკველზე. აღნიშნული 35 კვ ამომრთველის მეშვეობით მიერთებული იქნება 35 კვ ქსელთან. ქვესადგური აღჭურვილი იქნება მეხამრიდი და დამიწების სისტემებით. ასევე ტერიტორიაზე ზეთის გავრცელების პრევენციის მიზნით, ტრანსფორმატორისთვის მოწყობილი იქნება 6,3 მ³ მოცულობის ავარიულად დაღვრილი ზეთის შემკრები ავზი. აღნიშნული ქვესადგური დაუკავშირდება საპროექტო „ფარავანი 1 ჰესის“ ქვესადგურს, სადაც მოხდება „ფარავანი 1“ და „ფარავანი 2“ ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის შეკრება, რისთვისაც საპროექტო „ფარავანი 2“ ჰესის ქვესადგურიდან, საპროექტო „ფარავანი 1“ ჰესის ქვესადგურამდე გათვალისწინებულია 35 კვ ძაბვის მიწისზედა და მიწისქვეშა ეგზ-ის მოწყობა. აღნიშნული ეგზ-ს სიგრძე იქნება 7.281 კმ. საპროექტო ფარავანი 1 და ფარავანი 2 ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვის მიზნით კი, დაგეგმილია „ფარავანი 1 ჰესი“-ს დახურული გამანაწილებელი მოწყობილობიდან სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ 35 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზამდე - „ხოსპიო“ დაახლოებით 1.864 კმ. სიგრძის 35 კვ ძაბვის საკაბელო (მიწისქვეშა) ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობა, რომელიც განხილულია „ფარავანი 1“ ჰესის პროექტის ფარგლებში.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად ფარავანი 2 ჰესის ქვესადგურიდან მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზი (საერთო სიგრძე 7.281 კმ) დაკავშირებული იქნება ფარავანი 1 ჰესის ქვესადგურთან, აღნიშნული მონაკვეთი დაყოფილია სამ უბნად. №1 უბანი იწყება „ფარავანი 2 ჰესი“-ს შენობაში განთავსებული 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობიდან, რა დროსაც ეგზ გაუყვება მდინარის ნაპირზე არსებულ მინდორს. აღნიშნული უბანზე ეგზ განთავსდება მიწისქვეშ სპეციალურად მოწყობილ ტრანშეაში. №1 უბნის მონაკვეთის სიგრძეა - 2.986 კმ. №2 უბანი წარმოადგენს ეგზ-ის საჭაერო მონაკვეთს, რომლის ტრასის სიგრძეა - 4.206 კმ, აღნიშნულ მონაკვეთზე, სადაწნეო-სადერივაციო სისტემის დერეფნის პარალელურად, გათვალისწინებულია 21 საყრდენი ანძის მოწყობა. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საპროექტო საყრდენი ანძების GPS კოორდინატების შესახებ. №3 უბანი იწყება №21 საპროექტო საყრდენიდან. რამდენიმე მეტრში ეგზ გადაკვეთს ჰესის შენობის ეზოს და დაუერთდება „ფარავანი 1 ჰესი“-ს შენობაში განთავსებულ 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობას. აღნიშნული უბანი წარმოადგენს მიწისქვეშა მონაკვეთს, რომლის ტრასის სიგრძეა 0.089 კმ.

როგორც აღინიშნა, საპროექტო არეალი მდებარეობს ახალციხე-ნინოწმინდის (სომხეთის საზღვარი) (ს11) საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვეს. აღნიშნული მაგისტრალიდან საპროექტო ტერიტორიამდე

მიდის გრუნტიანი საავტომობილო გზები. საპროექტო ტერიტორიამდე გადაადგილება შესაძლებელია მდინარის მარცხენა სანაპიროზე არსებული გრუნტის გზით, გზის მოწყობა საჭირო იქნება ჰესის სათავე ნაგებობამდე მისასვლელად. ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სადერივაციო სისტემის მოსაწყობად გზა განთავსდება არხის გასწვრივ, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე გაივლის სისტემის ზემოდან. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ერთ მონაკვეთში სადერივაციო არხის მიერ მოხდება სამელიორაციო სადღურის მილსადენის გადაკვეთა და სადერივაციო არხის მოწყობის შემდეგ არსებული მილსადენი მოექცევა არხის ზემოთ, აღნიშნული ხელს შეუშლის სადერივაციო არხის ზემოთ გზის მოწყობას, შესაბამისად აღნიშნულ მონაკვეთზე გათვალისწინებულია გზის გადატანა. გადასატანი, ახლად მოსაწყობი გზის სიგრძე იქნება 240 მეტრი. მილსადენის საყრდენად მოეწყობა არმირებული ბეტონის საძირკვლის ბლოკები, ხოლო არხის კედლები გაგრძელდება ისე, რომ ერთდროულად შეასრულოს როგორც მისასვლელი ბილიკის, ასევე გამაგრებითი კედლის ფუნქცია. არსებული გრუნტიანი გზიდან სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიამდე კი საჭირო იქნება დაახლოებით 580 მ სიგრძის ახალი გზის მოწყობა. ასევე, როგორც აღინიშნა, ეგხ-ს დერეფანი მიუყვება არსებულ გრუნტიან გზებს და თავისუფალ ტერიტორიებს, შესაბამისად, ეგხ-ს მოწყობისთვის დამატებითი გზების მოწყობა არ არის დაგეგმილი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის მიზნებისთვის დაგეგმილია სამი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია ფარავანი 2 ჰესის ზედა დინებაში 3.3 მგვტ დადგმული სიმძლავრის ფარავანი 1 ჰესის მოწყობა და ორივე ჰესისთვის (ფარავანი 2 და ფარავანი 1) გათვალისწინებულია ერთი ძირითადი სამშენებლო ბანაკის მოწყობა. სამშენებლო ბანაკის ფართობი იქნება 26 800 მ² და განთავსებული იქნება ფარავანი 2 ჰესის საპროექტო ტერიტორიაზე, მდ. ფარავნის მარცხენა სანაპიროზე, ფარავანი 2 ჰესის სათავე ნაგებობის განთავსების ადგილიდან დაახლოებით 430 მეტრის დაცილებით. ბანაკის ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაცილებულია 1185 მეტრით, ხოლო მდ. ფარავნიდან 130 მეტრით. გარდა ამისა, სამშენებლო ინფრასტრუქტურა მცენარეულ საფარზე ზემოქმედების პრევენციის მიზნით მოეწყობა მცენარეული საფარისგან თავისუფალ ტერიტორიებზე. ძირითადი სამშენებლო ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს (ს/კ 202.63.19.34.011.004). ძირითადი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 374880, Y -4576556; X - 375028, Y - 4576753; X-375118, Y - 4576700; X-374967, Y - 4576497. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ბანაკის სიტუაციური სქემა და გეგმა ექსპლიკაციით, რომლის თანახმად, ძირითადი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა: ღია საწყობი, ავტოსადგომი და უბანი ტექნიკა-დანადგარებისთვის, არმატურის სამაქრო, საერთო საცხოვრებელი და სპეციალური სათავსები პერსონალისთვის, სასადილო, ლაბორატორია, 10 მ³ და 20 მ³ ტევადობის წყლის სამარაგო რეზერვუარი, დაცვის პუნქტი, სანიტარული კვანძი, ავარიული დიზელგენერატორი.

პროექტის მიზნებისათვის ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის მოწყობა გათვალისწინებულია მდ. ფარავნის მარცხენა სანაპიროზე, ძალური კვანძის განთავსების ადგილის მიმდებარედ დაახლოებით 270 მეტრის დაცილებით. ბანაკის ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაცილებულია 1990 მეტრით, ხოლო მდ. ფარავნიდან დაცილებულია 230 მ-ით. ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს (ს/კ 63.19.34.655). ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის ფართობია მიახლოებით 2 460 მ². ბანაკი ძირითადად მოემსახურება ჰესის ძალური კვანძის და სადაწნეო მილსადენის სამშენებლო სამუშაოებს. ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-374161, Y -4578112; X - 374196, Y -4578165; X-374228, Y-4578147; X-374195, Y - 4578093.

როგორც აღინიშნა, სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოების მომსახურებისათვის გათვალისწინებულია მცირე სამშენებლო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რისთვისაც გამოყენებული იქნება სათავე ნაგებობის განთავსებისათვის გათვალისწინებული ტერიტორიის მიმდებარე ტერიტორია. ბანაკის ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაცილებულია დაახლოებით 800 მეტრით, ხოლო მდ. ფარავნიდან დაცილებული იქნება არანაკლებ 68 მეტრით. შერჩეულ ტერიტორიაზე ასევე არ არის წარმოდგენილი მცენარეული საფარი. შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ 65.09.31.976). ბანაკისთვის შერჩეული ტერიტორიის ფართობია მიახლოებით 5300 მ². სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X- 375364, Y -4576654; X -375391, Y -4576672; X -375439, Y -4576678; X-375490, Y - 4576673; X- 375510, Y-4576660; X- 375538,

Y-4576627; X- 375530, Y- 4576610; X- 375519, Y-4576620; X-375481, Y- 4576634. სათავე ნაგებობის და ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: სამშენებლო მასალების საწყობი, ოფისი, ტექნიკის სადგომი, დამხმარე საამქროები და მუშათა დასასვენებელი კონტეინერული ტიპის ნაგებობა, დაცვის პუნქტი, სანიტარული კვანძი, ავარიული დიზელგენერატორი. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე ბეტონის კვანძის, საწვავის გასამართი სადგურის, ტრანსპორტისა და მექანიზმების სამრეცხაოს მოწყობა არ არის გათვალისწინებული.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, „ფარავანი 2“ ჰესის სამშენებლო სამუშაოები მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მისასვლელი გზების მოწყობა-მოწესრიგებას, სამშენებლო ბანაკის, სამშენებლო მოედნების მომზადებასა და მშენებლობისთვის საჭირო დანადგარ-მექანიზმების მობილიზაციას, ძირითადი სამუშაოებს (მიწის სამუშაოები, ნაგებობის ფუნდამენტების მომზადება, მილსადენისთვის, ბეტონის არხისთვის და ეგზ-თვის ტრანშეას მომზადება, წარმოქმნილი გრუნტის მართვა, მუდმივი კონსტრუქციების მშენებლობა, სარეკულტივაციო სამუშაოები და ნაგებობების ექსპლუატაციაში გასაშვებად მომზადება). სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობაა 24 თვე, წლის განმავლობაში იქნება 300 სამუშაო დღე. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილია დაახლოებით 40 ადამიანის დასაქმება, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში - 3 ადამიანის. სამშენებლო სამუშაოების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი სამშენებლო ტექნიკა: თვითმცლელი, ბეტონის ტუმბო, ავტობეტონმზიდი, პორტატული კომპრესორი, ვიბრატორი, ელ. შედუღების აპარატი, ავტოგენით შესადუღებელი აპარატი, მობილური ამწე, ბულდოზერი, ექსკავატორი, მტვირთავი, არმატურის საჭრელი დანადგარი, სხვადასხვა დანიშნულების ხელის იარაღი, ქარგილები, სახარატო ჩარხი.

დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის პროცესში ფუჭი გრუნტის წარმოქმნა ძირითადად მოსალოდნელია, სათავე ნაგებობის, ძალური კვანძის, სადაწნეო-სადერივაციო სისტემის, ეგზ-ს დერეფნის სამუშაოების განხორციელების მოწყობის პროცესში. ამოღებული გრუნტის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილისთვის, ხოლო ფუჭი გრუნტის ნაწილისთვის, რომელიც დარჩება გამოყენებული პროექტი ითვალისწინებს ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობას. ფუჭი ქანების სანაყარო მოეწყობა მდ. ფარავნის მარცხენა სანაპიროზე შერჩეულ ტერიტორიაზე, ჰესის სათავე ნაგებობის სიახლოვეს, რომლის ფართობია 4070 მ². აღნიშნული ტერიტორია უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაცილებულია მინიმუმ 650 მ მანძილით, ხოლო მდინარიდან - დაახლოებით 140 მეტრით. ფუჭი ქანების სანაყარო განთავსდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 65.09.31.976). პროექტის ფარგლებში სავარაუდო და მოსალოდნელი ფუჭი გრუნტის რაოდენობა დაახლოებით იქნება 227 000 მ³. აქედან უკუყრილებისთვის გამოყენებული იქნება დაახლოებით 102 000 მ³. გამომდინარე აღნიშნულიდან, ფუჭი გრუნტების რაოდენობა, რომელიც მუდმივ განთავსებას დაექვემდებარება, იქნება 125 000 მ³, რომელიც განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროსთვის შერჩეულ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე (ფართობი 15821 მ²). GPS კოორდინატებია: X-375628 Y-4576571 ; X-375619 Y-4576639 ; X-375748 Y-4576635 ; X-375752 Y-4576662 ; X-375912 Y-4576670; X-375929, Y- 4576634; X- 375925, Y-4576590 ; X-375913 , Y-4576559; X-375891, Y-4576572; X-375812, Y-4576573; X-375788, Y-4576566; X-375724, Y-4576562; X-375673, Y-4576552.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სავარაუდო მოცულობა იქნება 12 819 მ³. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის საშუალო სისქე იქნება 5-20 სმ. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებისთვის ფუჭი ქანების სანაყაროს ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნება ცალკე უბანი GPS კოორდინატებია: X- 375891, Y- 4576573; X- 375894, Y- 4576592; X- 375924; Y- 4576589; X- 375913; Y- 4576559. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ძირითადი ნაწილი სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ გამოყენებული იქნება სარეკულტივაციო სამუშაოებში. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, დასაწყობება და რეკულტივაცია განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, წყლის საწარმოო დანიშნულებით გამოყენებას ადგილი არ ექნება. სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და მშრალ

ამინდებში სამშენებლო მოედნების და მისასვლელი გზების დასანამად. ძირითადი სამშენებლო ბანაკი გამოყენებული იქნება როგორც ფარავანი 2 ჰესის, ისე ფარავანი 1 ჰესის სამშენებლო სამუშაოების მომსახურებისათვის და იგი განკუთვნილი იქნება მაქსიმუმ 80 ადამიანისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით სულ გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება 1140 მ³/წელ. პროექტის მიხედვით, სანიაღვრე წყლების არინების მიზნით, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიის პერიმეტრზე გათვალისწინებულია წყალამრთი არხების მოწყობა, ხოლო სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკის მქონე უბნებზე ნაყარი მასალები განთავსდება ფარდულის ტიპის სათავსებში. ნავთობპროდუქტების შემცველი დანადგარები შემოსაზღვრული იქნება წყალგაუმტარი ზღუდარებით, რაც გამორიცხავს ავარიული დაღვრის შემთხვევაში ნავთობპროდუქტების ტერიტორიაზე გავრცელებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი იქნება მინიმალური. ძირითადი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის დაგეგმილია 15 მ³ მოცულობის სასენიზაციო ორმოს მოწყობა, ხოლო სათავე ნაგებობის და ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე განთავსდება ბიო-ტუალეტები. სასენიზაციო ორმოების პერიოდული გაწმენდა მოხდება სპეც-ავტომობილის საშუალებით.

ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ისევე როგორც მშენებლობის ეტაპზე, გამოყენებული იქნება შემოტანილი წყალი. სასმელი დანიშნულებით გამოყენებული იქნება ბუტილირებული წყალი.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საპროექტო რეგიონის ფონური მდგომარეობის და გარემო პირობების აღწერა. გზმ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავებში მოცემულია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების, პრევენციის მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები და გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ ჰესის ძირითადი ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მდ. ფარავნის მშრალ კალაპოტში, მოსალოდნელია ზედაპირული წყლის ხარისხზე ზემოქმედება, რაც ძირითადად შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციების ზრდას, მყარი და თხევადი ნარჩენების არასწორ მართვას და საწვავის/ზეთის შემთხვევითი ჩაღვრის შედეგად სხვადასხვა დამაბინძურებლების გავრცელებას უკავშირდება. ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ფაზაზე მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის ცვლილება მოსალოდნელი არ არის, ხოლო წყლის ხარისხზე ზემოქმედების რისკების შემცირება შესაძლებელი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით. ჰესის მშენებლობის პროცესში ასევე მოსალოდნელია მიწისქვეშა წყლების ხარისხზე ზემოქმედება, რაც ძირითადად, ნაგებობების საძირკვლების მომზადების სამუშაოებთან იქნება დაკავშირებული.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია 10%, 25%, 50%, 75%, 90%-იანი უზრუნველყოფის ყოველთვიური და მრავალწლიური წყლის საშუალო ხარჯების, მდ. ფარავნის სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო წლიური ხარჯების შიდაწლიური განაწილების (თვეების მიხედვით), წყლის მაქსიმალური და მინიმალური ხარჯების შესახებ, ასევე წყლის მაქსიმალური დონეები და კალაპოტის ადგილობრივი გარეცხვის სიღრმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე ქვედა ბიეფში მუდმივად გატარდება დადგენილი ეკოლოგიური ხარჯი - 1.5 მ³/წმ (მდინარის საშუალო წლიური ხარჯის 10 %-ზე მეტი). როგორც აღინიშნა ეკოლოგიური ხარჯის ნაწილის გატარებას უზრუნველყოფს თევზასავალი, ხოლო დარჩენილი ნაწილი გატარდება კაშხლის ფარების საშუალებით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებულია მდინარის ჩამონადენზე მუდმივი დაკვირვებების წარმოება, რისთვისაც ჰესის სათავე ნაგებობის ზედა და ქვედა ბიეფებში მოეწყობა ავტომატური ხარჯზომები და უზრუნველყოფილი იქნება ეკოლოგიური ხარჯის უწყვეტ რეჟიმში გატარების კონტროლი. იმ შემთხვევაში, როდესაც მდინარეში წყლის რაოდენობა ერთდროულად ვერ უზრუნველყოფს ჰესის ფუნქციონირებას და ეკოლოგიური ხარჯის გატარებას, ჰესის ოპერირება შეჩერდება და წყალი მთლიანად გარემოსდაცვით ხარჯს დაემატება.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ფარავანი 2 ჰესის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასებისთვის გაიბურღა 6 ჭაბურღილი, 95 მეტრის ჯამური ბურღვის სიღრმით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით,

ფარავანი 2 ჰესის სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგად გამოიყო 3 ფენა: ფენა 1 - თიხა; ფენა 2 - ხვინჭა; ფენა 3 - ბაზალტი. დამატებით წარმოდგენილია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში, სადაც გეოდინამიკური თვალსაზრისით, ჰესის ნაგებობათა განთავსების ზონაში, ასევე ელექტროგადამცემი ხაზის საწყისი საკაბელო მონაკვეთის დერეფანში საშიშროებას ქმნის ქვაცვენა, რომელიც მიმდინარეობს კლდოვან ფერდობებზე. ელექტროგადამცემი ხაზის საპარო მონაკვეთზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება. მდინარეების ღრმა ან გვერდითი ეროზია აქტიური არ არის. ნაპირები დაცულია მათ გასწვრივ ბუნებრივად არსებული დიდი ზომის ლოდებით, თუმცა ნაპირებთან ახლოს განლაგებული ნაგებობების საიმედო დაცვის მიზნით საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები. სხვა გეოდინამიკური მოვლენა, რომელიც შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად ჰიდროელექტროსადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზის ზონაში - არ ფიქსირდება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, კაშხლის ზედა ბიეფში მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გათვალისწინებულია დაახლოებით 446 მ სიგრძის, ხოლო მარცხენა სანაპიროზე დაახლოებით 813 მ სიგრძის ნაპირდამცავი დამბების მოწყობა, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე იქნება - 3 მ, ხოლო თხემის სიგანე - 2.0 მეტრი. მდინარის მხრიდან დამბის ფერდს ექნება წყალგაუმტარი მემბრანა და ფლეთილი ქვის წყობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მდ. ფარავანი გაედინება კლდოვან ხეობაში, რომელიც მოკლებულია ტყის საფარს, ხოლო ჭალის ტყე განვითარებულია მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახით. ხეობაში ყველაზე ფართოდ ვრცელდება კლდე-ნაშალიანი ფერდობები და მეზოფილური მდელოები. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიები არ ხვდება საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების (*Special Protection Areas SPA*) ფარგლებში და არ ემთხვევა ფრინველთათვის მნიშვნელოვან ადგილს (*Important bird areas – IBA*). გარდა ამისა, ფარავანი 2 ჰესის საპროექტო დერეფანი არ ექვევება დაცული ტერიტორიების ფარგლებში. ყველაზე ახლო მდებარე დაცული ტერიტორიაა ხანჩალის ალკვეთილი (დაახლოებით 5,1 კმ-ში).

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ჰესისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გავლენის ზონაში არსებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, შეფასებულია ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე ზემოქმედება და წარმოდგენილია შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები. კვლევები ჩატარებულია ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებზე. ფაუნის კვლევა მოიცავს ფრინველების, ძუძუმწოვრების, იქთიოფაუნის, ხელფრთიანების კვლევებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო დერეფანში გამოიყო EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის მიხედვით დაყოფილი 6 ძირითადი ჰაბიტატი (H3.6 - ნაშალი კლდეები და კლდოვანი გაშიშვლებები, E2 - მეზოფილური მდელოები, G1.1 - ჭალისა და სანაპირო ტყეები, სადაც დომინირებს მურყანი, არყი, ვერხვი ან ტირიფი, C3.26 - *Phalaris arundinacea*-სგან შექმნილი არშიები, C2.2 - მუდმივი, მიქცევა-მოქცევისგან დამოუკიდებელი, სწრაფი, ტურბულენტური დინებები, J - შენობები, ინდუსტრიული და სხვა ხელოვნური ჰაბიტატები). ფარავანი 2 ჰესის დერეფანში ჭარბობს კლდე-ნაშალიანი ფერდობები და მეზოფილური მდელოები. კლდოვან ჰაბიტატებში ხშირია ბუჩქნარები, სადაც ძირითადად გვხვდება გრაკლა (*Spiraea hypericifolia*), აღმოსავლური მოცხარი (*Ribes orientale*), და *Rosa spinosissima*. ხოლო ბალახოვან საფარში გვხვდება მხოხავი ჭანგა (*Elymus repens*), *Agropyron cristatum*, *Melica transsilvanica*, *Phleum phleoides*, *Artemisia absinthium*, *Artemisia marschalliana*, *Nepeta mussinii*, *Salvia verticillata*, *Filipendula vulgaris*, *Alchemilla* sp., *Campanula* sp., *Hypericum perforatum* და სუკულენტური მცენარეები – *Sedum caucasicum*, *Sedum oppositifolium*, *Sempervivum* sp. მდ. ფარავნის მიმდებარედ, წარმოდგენილია ჭალის ტყის ფრაგმენტები, სადაც დომინირებენ ტირიფის სახეობები (*Salix alba* და *Salix caprea*).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საველე კვლევებისა და არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, საპროექტო არეალში და მის მიმდებარე ადგილებში გამოვლენილია ძუძუმწოვრების 35, ხელფრთიანების 10-მდე, ფრინველების 100-ზე მეტი, ქვეწარმავლების და ამფიბიების 15-მდე, მოლუსკების და სხვადასხვა სახის უხერხემლოების 500-ზე მეტი სახეობა. საქართველოს წითელ ნუსხაში შესული ძუძუმწოვრებიდან გვხვდება: ნაცრისფერი ზაზუნელა (*Cricetulus migratorius*), ამიერკავკასიური ზაზუნა (*Mesocricetus brandti*), ნერინგის ბრუცა (*Nannospalax nehringi*) და წავი (*Lutra*

lutra) იშვიათია ჭრელტყავა (*Vormela peregusna*). ასევე გვხვდება თოვლისა (*Chionomys nivalis*) და წყლის მემინდვრია (*Arvicola terrestris*), ჩვეულებრივი მემინდვრია (*Microtus arvalis*), საზოგადოებრივი მემინდვრია (*Microtus socialis*). გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სახეობებისა საპროექტო ტერიტორიაზე ბინადრობენ გრძელკუდა კბილთეთრა (*Crocidura gueldenstaedtii*), თეთრმუცელა კბილთეთრა (*Crocidura leucodon*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini*), კავკასიური წყლის ბიგა (*Neomys teres*), ასევე კავკასიური თხუნელა (*Talpa caucasica*), მაჩვი (*Meles meles*), კურდღელი (*Lepus europaeus*) და სხვა. საპროექტო ტერიტორიაზე ხელფრთიანი სახეობებიდან ვხვდებით: დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*), მცირე ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*), ჯუჯა ღამორი (*Pipistrellus pipistrellus*), მურა ყურა (*Plecotus auritus*), ტყის ღამორი (*Pipistrellus nathusii*) და სხვა. ფრინველთა სახეობებიდან გვხვდება: თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), მეფეტვია (*Emberiza calandra*), მცირე კლდეცოცია (*Sitta neumayer*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), შაშვი (*Turdus merula*), ჩხიკვი (*Garrulus glandarius*) და სხვა. საველე კვლევებისა საქართველოს წითელი ნუსხით და საერთაშორისო (IUCN) წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან, ფარავანი 2 ჰესის ზონაში დაფიქსირდა: ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), ასევე თეთრი ყარყატი (*Ciconia ciconia*). ქვეწარმავლებიდან გვხვდება: მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*), ართვინის ხვლიკი (*Darevskia derjugini*), ჯოჯო (*Paralaudakia caucasia*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), სპილენძა (*Coronella austriaca*), ამიერკავკასიური მცურავი (*Zamenis hohenackeri*) და სხვა.

ანგარიშის მიხედვით, ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია დაკავშირებული იქნება იქთიოფაუნაზე ზემოქმედებასთან. საველე კვლევებისა და არსებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით, საპროექტო არეალში გავრცელებულია 7 სახეობის თევზი, მათ შორის, წვერა (*Barbus cyri*), ქაშაპი (*Squalius agdamicus*), მარდულა (*Alburnoides eichwaldi*), ციმორი (*Gobio caucasicus*) და სხვა. საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა - ნაკადულის კალმახი (*Salmo trutta*) ინდივიდების არსებობა ვერ იქნა მოპოვებული თუმცა თეორიულად შესაძლებელია არსებობდეს. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე იქთიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მდინარის ცალკეული უბნების ამოშრობასთან, სამიგრაციო გზების ბლოკირებასთან, მდინარის ამღვრევასთან, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის შემცირებასთან და სხვა. მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, გათვალისწინებულია სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: მდინარეში მუდმივად დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის გატარება, თევზამრიდის და თევზსავალი ნაგებობების მოწყობა და მათი ეფექტიანი ფუნქციონირების მონიტორინგი, ოპერირების დაწყებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში ჩატარდება მდ. ფარავნის წყლის ბიოლოგიური გარემოს მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, ასევე საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა - ნაკადულის კალმახით (*Salmo caspius*) დათევზიანების ღონისძიებები და სხვა.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებების სტაციონარული წყაროების გამოყენება არ არის გათვალისწინებული. პროექტის მშენებლობა არ ითვალისწინებს სამშენებლო ბანაკების და მოედნების ტერიტორიაზე ბეტონის დამზადებას. მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები (ბეტონის ტუმბო, ავტობეტონმზიდი, მობილური ამწე, ბულდოზერი, ექსკავატორი, ავტოდამტვირთველი, ელ. შედუღების აპარატი). ფარავანი 2 ჰესის მშენებლობისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ისეთი სახის ნივთიერებები, როგორცაა: რკინის ოქსიდი, მანგანუმი და მისი ნაერთები, აზოტის დიოქსიდი, აზოტის ოქსიდი, ნახშირბადი, გოგირდის დიოქსიდი, ნახშირბადის ოქსიდი, აირადი ფტორიდები, სუსტად ხსნადი ფტორიდები, ნავთის ფრაქცია, შეწონილი ნაწილაკები, არაორგანული მტვერი: 70-20% SiO₂. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ, მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის კონტროლი, სამუშაო უბნების მორწყვა, ნაყარი სამშენებლო მასალების შენახვის წესების დაცვა და სხვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოკლევადიანი ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ ჰესის სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების დროს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების პროცესში და ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი იქნება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედებას. მშენებლობის ეტაპზე

ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარები. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ტექნიკიდან გავრცელებული ხმაურის დონეების შესახებ ინფორმაცია და ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ჰესის მშენებლობის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება: ექსკავატორი, ავტოთვიტმცლელი, ავტოდამტვირთველი, ავტობეტონშიდი, ბულდოზერი, მობილური ამწე. ხმაურის გავრცელების სიდიდეების შესაფასებლად მოხდა სამშენებლო ბანაკების (ძირითადი სამშენებლო ბანაკი, სათავე ნაგებობის და ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკები) და სამშენებლო მოედნების (სათავე ნაგებობის, ძალური კვანძის და ეგხ-ს სამშენებლო მოედნები) ცალკეულ უბნებად განხილვა. გათვლების თანახმად, სამშენებლო უბნებზე გამოყენებული მანქანა-მექანიზმებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ხმაურის გავრცელების წყაროს, მაქსიმალური ხმაურის ჯამური დონე იქნება 96 დბა. ანგარიშში მოცემული გათვლების მიხედვით, ძირითადი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან მოსალოდნელი ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (1185 მ) იქნება 22.5 დბა, ძალური კვანძის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიიდან მოსალოდნელი ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (1990 მ) იქნება - 10.7 დბა, ძალური კვანძის სამშენებლო მოედნიდან მოსალოდნელი ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (1600 მ) იქნება- 16.2 დბა, სათავე ნაგებობის სამშენებლო ბანაკიდან ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (800 მ) იქნება- 29.1 დბა, სათავე ნაგებობის სამშენებლო მოედნიდან ხმაურის დონე უახლოეს მოსახლესთან (700 მ) იქნება - 31.0 დბა, ხოლო ეგხ-ის საყრდენი ანძის სამშენებლო მოედნიდან ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელთან (185 მ) იქნება - 45.1 დბა, რაც თითოეულ შემთხვევაში არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების წყაროს წარმოადგენს ჰესის შენობაში დამონტაჟებული ჰიდროაგრეგატები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ჰესის შენობასთან ხმაურის გავრცელების დონე შეადგენს 70-80 დბა-ს, ხოლო უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (1600მ) ხმაურის გავრცელებას ადგილი არ ექნება. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებზე.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ჰესების როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება. მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოების პროცესში ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებები ძირითადად დაკავშირებული იქნება: სატრანსპორტო ნაკადების ზრდასთან, ასევე სამშენებლო მოედნების, მომუშავე ტექნიკის და ხალხის, მშენებარე კონსტრუქციების, სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების არსებობასთან. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ჰესის ნაგებობების, მცირე შეგუბების, წყალსაცავის და მის პერიმეტრზე დაგეგმილი ნაპირდამცავი ნაგებობების განთავსებასთან. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივი ნაგებობების ფერის და დიზაინის შერჩევა მოხდება ისე, რომ შეხამებული იყოს გარემოსთან, დროებითი კონსტრუქციების, მასალების და ნარჩენების განთავსებისთვის შერჩეული იქნება შეძლებისდაგვარად შეუმჩნეველი ადგილები, სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ჩატარდება სარეკულტივაციო სამუშაოები და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ანგარიშის თანახმად, სახიფათო ნარჩენები დროებით დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ სათავსოში, სათანადო მარკირებით და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენები ტერიტორიიდან გატანილი იქნება და განთავსდება არასახიფათო მყარი მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

გზმ-ის ანგარიშში მოცემულია საპროექტო არეალში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო დერეფანში დაფიქსირებული ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე პირდაპირი ზემოქმედების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია როგორც სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ასევე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას. სამუშაოთა მიმდინარეობის პროცესში არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში,

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეწყდება შესაბამისი სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. ასევე, სამშენებლო სამუშაოების პროცესში ჩართული იქნება არქეოლოგი და მისი მეთვალყურეობით წარიმართება აღნიშნული სამუშაოები.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, დოკუმენტაციაში განხილულია პროექტის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკები და გაწერილია შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთა დაცვა და განხორციელება აუცილებელია პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე, ზედამხედველობის ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენის ვალდებულებით.

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ცნობით, „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, რეკულტივაციის გეგმა/პროექტი შესათანხმებლად წარდგენილი უნდა იყოს სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოში.

დაზუსტებული დოკუმენტაციის თანახმად, მდინარის ეკოსისტემის შენარჩუნებისათვის ეკოლოგიური ხარჯად განისაზღვრა 1.5 მ3/წ-ს, რაც შეადგენს მდინარის მრავალწლიური საშუალო ხარჯის 10%-ზე მეტს. რადგან ჰესის საპროექტო მონაკვეთზე (სათავე ნაგებობასა და ძალურ კვანძს შორის) ექცევა შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული სატუმბი სადგური, შესაბამისად ფარავანი 2 ჰესის ექსპლუატაციის ეტაპზე, ჰესის მიერ სასოფლო-სამეურნეო სეზონის (მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) განმავლობაში, არსებული სატუმბი სადგურის გამართული მუშაობისთვის უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი 2.5 მ3/წმ ხარჯის გატარება ქვედა ბიეფში. ამასთან, შპს საქართველოს მელიორაციის ცნობით, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შპს „საქართველოს მელიორაციამ“ დეტალურად განუსაზღვრა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული პირობები და მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს ალმალოს სატუმბი სადგურის შეუფერხებელ ფუნქციონირებას, მისი ტექნიკური პარამეტრების დაცვასა და სარწყავი სისტემის სტაბილურ მუშაობას. ამასთან, შპს „საქართველოს მელიორაცია“ მხოლოდ აღნიშნული პირობების სრულად შესრულების შემთხვევაში არ არის წინააღმდეგი „ფარავანი 2 ჰესის“ პროექტის განხორციელების.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს სასარგებლო წიაღისეულის (დოლერიტი) მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზია N 1004275 კონტურს (შპს „ჯავახავტოგზა“, ს/ნ N 223352930, ვადა - 27.10.2034 წ.). „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შპს „ჯავახავტოგზას“ და სს „ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია, რომლის თანახმად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია. ამასთან წერილში აღნიშნულია, რომ სამუშაოების დაწყებამდე წინასწარ წარსადგენია ჰესის მშენებლობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ცნობით, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიას კვეთს, სს „ენერგო პრო ჯორჯიას“ კუთვნილი, 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზს (ს/კ: 65.00.076) და 10 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზს, სავალდებულოა სამუშაოების შემსრულებელმა იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ფარავანი 2 ჰესის ნაგებობების და ეგზ-ს განთავსების არეალში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, რაიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტის სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს. შესაბამისად, მშენებლობასთან დაკავშირებით კუმულაციური

ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, მდ. ფარავანზე დაგეგმილია „ფარავანი 1 ჰესი“-ს და „არაკალი“ ჰესის პროექტის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ „არაკალი“ ჰესის (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 05.05.2025; ბრძანება N 224/ს) საპროექტო ტერიტორია „ფარავანი 2 ჰესი“-ს საპროექტო ტერიტორიიდან დაცილებულია 11 კმ-ით. აღნიშნულის გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედების თავლსაზრისით განხილული იქნა ფარავანი 2 და ფარავანი 1 ჰესების სამშენებლო სამუშაოები. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფარავანი 2 ჰესის ექსპლუატაციის პროცესში შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების რისკები დაკავშირებული იქნება მდ. ფარავნის ხეობაში დღეისათვის მოქმედი „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1, და ახალქალაქი 2), „ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის“, ასევე „ფარავანი 1 ჰესის“ და „არაკალი“ ჰესის პროექტის განხორციელებასთან. ანგარიშში მოცემულია მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების საკითხები: ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე, ზემოქმედება მდ. ფარავნის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე და წყლის ხარისხზე, სატრანსპორტო ნაკადებზე, ზემოქმედება მყარი ნატანის ტრასპორტირების პირობებზე, ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ზემოქმედება აკუსტიკურ ფონზე და ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელების პირობებში ფარავანი 2 ჰესის პროექტის განხორციელება გარემოზე შეუქცევადი კუმულაციური ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.

გზშ-ის ანგარიშისდ განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთში, სააგენტოს ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 21 ნოემბერს, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ხორენიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში და სოფ. ჯიგრაშენის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე ყურადღება ძირითადად გამახვილდა, ჰესის ადგილმდებარეობაზე, ჰესის სიმძლავრეზე, წყლის ხარჯზე, ასევე საირიგაციო სისტემაზე, რომელიც ემსახურება სხვადასხვა სოფლებს, ჰესის მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე პირუტყვის გადაადგილების, მოსახლეობის სოციალური/დასაქმების საკითხებზე. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები გაკეთდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლების მიერ. საჯარო განხილვებზე გამოთქმული კითხვები და შესაბამისი განმარტებები აისახა საჯარო განხილვების სხდომის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების და ნარჩენების მართვის გეგმები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, დასკვნები და რეკომენდაციები, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები, საპროექტო ტერიტორიის გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, კლიმატი, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები, ბიოლოგიური გარემო.

გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროს სხვადასხვა მიმართულების შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 3.4 და 3.8 ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მდ.ფარავანზე 4.6 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ფარავანი 2 ჰესის“ და 35 კვ ძაბვის საჰაერო (მიწისქვეშა საკაბელო მონაკვეთებით) ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ ვალდებულია:
 - ა) საქმიანობა განახორციელოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშზე თანდართული დოკუმენტაციის (დანართები), ასევე დაზუსტებული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილების და თავიდან აცილების ქმედებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ასევე ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
 - ბ) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
 - გ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსით“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების, ასევე სააგენტოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
 - დ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების განლაგების ზონაში და მათ მიმდებარედ საშიშ გეოლოგიურ პროცესებზე მონიტორინგის წარმოება. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს საშიში გეოლოგიური პროცესებით დაძაბულ უბნებზე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება;
 - ე) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროს დეტალური პროექტის (shp ფაილებთან ერთად) სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა. სანაყაროს მოწყობა უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის შესაბამისად;
 - ვ) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარული წყაროების არსებობის, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების და/ან წყალჩაშვების შემთხვევაში, აღნიშნული ობიექტების მოწყობამდე უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვა, ხოლო სამშენებლო მასალის (ბეტონის) სხვა ობიექტებიდან მიწოდების შემთხვევაში, აღნიშნულ ობიექტებამდე სავარაუდო მანძილის (ზიდვის ინტენსივობა მშენებლობის მაქსიმალური დატვირთვის პერიოდში) შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;
 - ზ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან საქმიანობის შეთანხმება, ასევე შპს „საქართველოს მელიორაციას“-თან საქმიანობის შეთანხმება, მათ მიერ განსაზღვრული პირობების დაცვით. ასევე უზრუნველყოს მიწის სამუშაოების წარმართვა არქეოლოგიის ზედამხედველობით და შესაბამისი ზედამხედველობის ანგარიშის სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმება;

თ) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სათავე ნაგებობის (ე.წ. ყრუ კაშხალი) მარჯვენა და მარცხენა ნაპირის გრძივი და განივი ჭრილების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა;

ი) მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს თევზსავალის აუზებში ენერჯის გაფანტვის კოეფიციენტის გაანგარიშებების სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;

კ) უზრუნველყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება;

ლ) ობიექტის მშენებლობის დაწყებისა და დასრულების, ასევე ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სააგენტოს;

მ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფაზე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/247-21-4-202604200945>

